

## ფაგებისა და ანტიბიოტიკების ურთიერთქმედების შესწავლა ჩირქოვან -ანთებით ინფექციების დროს

*თ. დვალაძე<sup>ა</sup>, მ. გოდერძიშვილი<sup>ბ</sup>, ს. რიგვავა<sup>აბ</sup>, ნ. ქარუმიძე<sup>აბ</sup>, ი. კუსრაძე<sup>აბ</sup>, ხ. მაკალათია<sup>აბ</sup>*

ელ-ფოსტა: [tatia9dvalidze@gmail.com](mailto:tatia9dvalidze@gmail.com)

<sup>ა</sup> ბიოლოგიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ.# 13, თბილისი, საქართველო

<sup>ბ</sup> გელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი, გოთუას ქ.#3, თბილისი, საქართველო

**ლიტერატურული მიმოხილვა:** უკანასკნელი 20 წლის მანძილზე შეიმჩნევა მკვეთრი ზრდა ანთებითი დაავადებებისა გამოწვეული გრამ-დადებითი და გრამ-უარყოფითი ბაქტერიებით, რომლებიც კლინიკურად ჩირქოვან-ანთებითი ასევე სეფსისური ფორმით ვლინდება. ანტიბიოტიკების უკონტროლო და არასაჭირო გამოყენებამ გამოიწვია ანტიბიოტიკორეზისტენტული შტამების წარმოშობა და გავრცელება.

**მიზნები: 1.** შესწავლილ იქნას ანტიბიოტიკების ურთიერთქმედება ინფექციური დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების მიმართ, ასევე ფაგების ცალკეული ჯგუფების გამრავლების პროცესი.

**2.** დეტალურად იქნეს შესწავლილი ანტიბიოტიკების და ფაგების გამოყენება ჩირქოვან-ანთებითი დაავადებების საწინააღმდეგოდ. ასევე მიკრობის ამოთესვა მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ.

**3.** განისაზღვროს ახლად გამოყოფილი შტამების მგრძობელობა ანტიბიოტიკებისა და ფაგური (კომპლექსური და მონო) პრეპარატების მიმართ.

### კვლევის მეთოდები:

**1.** დადგინდეს *in vitro* ანტიბიოტიკების ჯგუფების გავლენა ფაგების გამრავლების ციკლზე კარგად დახასიათებულ შესაბამის პათოგენურ შტამებზე. ასევე ანტიბიოტიკო და ფაგომგრძობელობის განსაზღვრა.

**2.** ფაგებით და ანტიბიოტიკებით მკურნალობის თითოეული შემთხვევის დეტალური განხილვა.

**მიღებული სამეცნიერო შედეგები:** შესწავლილ იქნა ლაბორატორიულ პირობებში სხვადასხვა (ყბა-სახის ქირურგია, დამწვრობის ცენტრი, სადაზღვე კომპანია „იმედი L“-ის კლინიკა ქ.გორი, ფაგოთერაპიის ცენტრი, შპს „დიაგნოზი 90“) კლინიკებიდან შემოსულ ბაქტერიულ შტამებზე ფაგებისა და ანტიბიოტიკების (როგორც ცალცალკე ასევე კომბინირებულად) მგრძობელობის შემოწმება.

**დასკვნა:** დღეისათვის ფართოდ გავრცელებულ ჩირქოვან ინფექციათა (ჩირქოვანი და ყბა-სახის ქირურგია, სტომატოლოგია, გინეკოლოგია) სამკურნალოდ აუცილებელია მკურნალობის ახალი გზების გამონახვა, კერძოდ: ფაგებისა და ანტიბიოტიკების კომბინირებული გამოყენება.